კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, V–VI კლასი, N2

ტატუირებული მუმიის საიდუმლო

პირამიდების ხსენებისას, პირველ რიგში, ეგვიპტე გვაგონდება. მაგრამ ეგვიპტე ერთადერთი ქვეყანა არ არის, სადაც ადამიანებს პირამიდები აღუმართავთ. პირამიდებს აგებდნენ შუამდინარეთში, რომის იმპერიაში, ჩინეთში, ამერიკის კონტინენტზე. ბევრი მათგანი კარგად არის შესწავლილი, ზოგიერთებს კი დღესაც აქტიურად იკვლევენ.

პერუს ტერიტორიაზე არაერთი ძველი პირამიდაა. ელ ბრუხოს უდიდესი პირამიდის წვერთან მდებარე შიდა ეზოში მუშაობისას ერთმა არქეოლოგმა სამარხის არსებობის ნიშანს მიაგნო. მკვლევარი მოჩეს უძველესი ხალხის წმინდა სარიტუალო ადგილას იმყოფებოდა. მას გულისცემა აუჩქარდა. მიხვდა, რომ იატაკზე მოფენილი დიდი ფილების ქვეშ ვინმე დიდებულის სამარხი უნდა ყოფილიყო. და მართლაც, ოქროს ნაკეთობებით სავსე სამარხში მუმია აღმოჩნდა. დარბაზი, დაახლოებით, 1600 წლის განმავლობაში ინახავდა ძვირფას საიდუმლოს.



ეს ადგილი, ალბათ, მეფის ან დიადი მეომრის დასაკრძალავად შემოინახეს. მაინც, რა განძი ინახებოდა წინამძღოლის საფლავში?

მოჩეს ცივილიზაცია პერუს ჩრდილოეთ სანაპიროზე ყვაოდა ახალი წელთაღრიცხვის 100-დან 800 წლამდე.

გახსნილი მუმია

რამდენიმე კვირის გულმოდგინე გათხრების შემდეგ არქეოლოგებმა სამარხში 100-კილოგრამიან ფუთას მიაკვლიეს. შესასწავლად ლაბორატორიაში გადაიტანეს. მეცნიერები ნელ-ნელა ხსნიდნენ მუმიის სახვევის 23 ფენას. ფენებს შორის ასობით ძვირფასი ნივთი ნახეს. მათ შორის იყო: ცხვირის შესამკობი ოქროს რგოლები და ყელსაბამები, ოქროს საკერავი ნემსები, მბრწყინავი გვირგვინები და დიადემები. ასევე იპოვეს უზარმაზარი საომარი ხელკეტები, რომლითაც მოჩეს ძლევამოსილი მეომრები იყვნენ აღჭურვილნი. ბოლოს კი, ექვსთვიანი სათუთი მუშაობის შემდეგ, მეცნიერების თვალწინ წარსდგა მთავარი განძი. ეს იყო მსოფლიოში ერთერთი საუკეთესოდ შენახული მუმია.

მაგრამ მთავარი სიურპრიზი მეცნიერებს თურმე წინ ელოდა. როცა მუმიას ფრთხილად

გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

ახადეს ოქროს თასი, რომელიც მის სახეს ფარავდა, აღმოჩნდა, რომ ეს არა მეფე ან მეომარი კაცი, არამედ იდუმალი ტატუებით აჭრელებული... ახალგაზრდა ქალბატონი იყო. ქალბატონს **კაო** შეარქვეს.

მოჩეს წეს-ჩვეულებები

დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და მეცნიერული კვლევები ადასტურებდა, რომ მოჩეს ტომს მამაკაცები მართავდნენ. მოჩეს კერამიკულ ნაკეთობებზე – ლარნაკებსა და ჭურჭელზე – მხოლოდ კაცები არიან გამოსახული. ისინი ნადირობენ, იბრძვიან, დატყვევებულ მტერს მსხვერპლად სწირავენ და ა. შ. მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი სარიტუალო ადგილი სწორედ ეს პირამიდა იყო. მაგრამ რა კავშირი უნდა ჰქონოდა ყოველივე ამასთან 20 წელს ოდნავ გადაცილებულ ახალგაზრდა ქალს? დედოფალი იყო, უმაღლესი ქურუმი თუ მეომარი პრინცესა?

ერთი რამ უეჭველია: ქალბატონი კაო მიჩვეული უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულ მოპყრობასა და თაყვანისცემას. ხალხში გამოჩენისას ის, ალბათ, დაბრძანებული იყო დიდებულთათვის განკუთვნილ ტახტრევანზე, რომელიც რამდენიმე მსახურს მიჰქონდა. ქალბატონი კაო ზემოდან დაჰყურებდა ბრბოს. **ანთროპოლოგი** ჯონ ვერანო ამბობს: „მისი ოქროს სამკაული ისე იკაშკაშებდა, რომ ქალბატონი კაოს დანახვა შორიდანაც იქნებოდა შესაძლებელი.“

ერთ დროს დიდებული და ახლა მუმიად ქცეული ქალბატონის სხეული მოჩეს სხვა მუმიებზე მეტადაა მოხატული. მის ხელებს, ფეხებსა და ტერფებს გველების, ობობების, კიბორჩხალებისა და ზღაპრული ცხოველების გამოსახულებები ფარავს. არავინ იცის, დანამდვილებით, რას ნიშნავს ეს ნახატები. შესაძლოა, მოჩეს ხალხს სწამდა, რომ ცხოველებს კარგი მოსავლის მოტანა შეეძლოთ. ამიტომაც იჭრელებდნენ მათი ნახატებით სხეულს.

რატომ იყო მუმია დამარხული 23 შუბთან ერთად? ყველაზე გავლენიან მამაკაც ბელადებსაც კი მხოლოდ ერთ ან ორ ასეთ იარაღს ატანდნენ ხოლმე საფლავში. იქნებ მისმა მცველებმა დაუტოვეს იარაღი საიქიო ცხოვრებაში თავის დასაცავად?

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, თუ რატომ დაიღუპა ეს სათაყვანებელი ქალი ასეთი ახალგაზრდა. ჩონჩხს არ ემჩნეოდა ავადმყოფობის ან დაზიანების კვალი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგი, შესაძლოა, მშობიარობას გადაჰყვა. სხვა ვერსიით, იგი ღმერთებს შესწირეს მსხვერპლად მრისხანე სტიქიის დასაწყნარებლად. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს მსხვერპლი ქალბატონ კაოს თავისი ნებითაც გაეღო. მაგრამ მკვლევრები საკუთარი ვარაუდების უტყუარობაში დარწმუნებულები არ არიან.

ქალბატონ კაოს აღმოჩენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო პერუს არქეოლოგიაში, რომ სახელმწიფომ დიდი თანხა გამოყო საგანგებო მუზეუმის ასაშენებლად. დღეს მუზეუმში წარმოდგენილია უაკი-კაო-ვიეხოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ნივთები. ექსპოზიციის მთავარი განძი, რა თქმა უნდა, ტატუირებული მუმია და მის სამარხში ნაპოვნი ძვირაფასი ნივთების კოლექციაა.

ანთროპოლოგი არის მეცნიერი, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას, რასებსა და სხვ.



კითხვის-დრო

პალინდრომები

ბიუდლი ინგლისის ძველი ქალაქია. მის ცენტრში მდინარეზე ინგლისელთათვის ცნობილი ლამაზი ხიდია გადებული. თუმცა, ხიდის გარდა, ამ პატარა ქალაქმა სხვა რამითაც გაითქვა სახელი. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის მკვიდრმა, მისტერ ედვარდ ბენბოუმ, პალინდრომების რეკორდი დაამყარა!

პალინდრომი არის სიტყვა, წინადადება ან სტრიქონი, რომელიც წინიდანაც და უკნიდანაც, ე. ი. მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ ერთნაირად იკითხება. მაგ. „ანა“ არის მოკლე პალინდრომული სახელი, „როგორ“ და „მანამ“ კი – პალინდრომული სიტყვები. გალაკტიონ ტაბიძის პალინდრომული ფრაზაა: „აი, რა მზის სიზმარია“. ინგლისურენოვანი პალინდრომის მაგალითია: „Do geese see God?“

საინტერესოა, საიდან და როგორ მოაღწია ჩვენამდე პალინდრომის იდეამ? ჩვენ პალინდრომ სიტყვებზე ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე პალინდრომ რიცხვებზე. თავად ეს სიტყვა ბერძნულიდან მოდის. Palindromus ნიშნავს „ისევ უკან გაქცევას“. პალინდრომები აღმოჩენილია ეგვიპტურ იეროგლიფებსა და ლათინურ ტექსტებშიც.

პალინდრომის ტექსტის შესაქმნელად მისტერ ბენბოუმ გამოიყენა 22500 სიტყვა!

3102

2012

პალინდრომი რიცხვიც შეიძლება იყოს. მაგალითად, 353 ან 2662 პალინდრომებია. პალინდრომის მიღება ძალიან ადვილია გარკვეული რიცხვების შეკრებით.

1. დაწერეთ ნებისმიერი ორნიშნა ან მეტნიშნა რიცხვი, რომელიც 1-ზე მეტი ციფრისგან შედგება.

მაგალითად – 47

2. შემდეგ შეაბრუნეთ ამავე რიცხვში ციფრები. შეკრიბეთ ეს ორი რიცხვი:

47 + 74 = 121

3. მიღებული რიცხვი – 121 პალინდრომია.

მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეკრებით პალინდრომს ყოველთვის ვერ მიიღებთ. ზოგჯერ პირველი შეკრების პასუხში ციფრები ისევ უნდა შეაბრუნოთ და ამგვარად მიღებული რიცხვები შევკრიბოთ.

მაგალითი:

48 + 84 = 132
132 + 231 = 363

როგორც ხედავთ, ამჯერად ორჯერ დაგვჭირდა რიცხვების შებრუნება და შეკრება.

პალინდრომის მისაღებად, როგორც წესი, რიცხვში ციფრების შებრუნება და შეკრება 6-ზე მეტჯერ არ დაგჭირდებათ. მაგალითისთვის მოსინჯეთ 79.

შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ ორნიშნა პალინდრომები? დაფიქრდით, რამდენად რთული იქნება 3, 4, 5, 6 ან 7-ციფრიანი პალინდრომების

ძველი ბერძენი პოეტი სოტადესი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეგვიპტეში ჩვ. წ-აღ-მდე მე-3 საუკუნეში. პტოლემეუს II-ის მმართველობის დროს მას დაუწერია პალინდრომი მეფის შესახებ. სამწუხაროდ, ნაწარმოები არ მოუწონეს და უმოწყალოდ დასაჯეს. საბრალო მოხუცი ყუთში მოათავსეს და შუა ზღვაში მოისროლეს.

პოვნა? ახვალთ მილიონციფრიან პალინდრომამდე? გაგიკვირდებათ, მაგრამ ზოგიერთებმა უკვე სცადეს ეს სახალისო თავსატეხი და მიიღეს კიდეც შედეგი.

კითხვის-დრო

ქალები სპორტში

ძველად სპორტს მამაკაცები უფრო მისდევდნენ. სპორტი საბრძოლო და სამონადირეო იარაღის ხმარებას, ცხენოსნობას, სამხედრო წვრთნასა და ვარჯიშებს უკავშირდებოდა. ცხენოსნობა და იარაღის ხმარება ქალებისთვისაც არ იყო უცხო. მაგალითად, მითოლოგიამ შემოგვინახა ლეგენდა **ამორძალი** ქალების შესახებ. ისინი გასაოცარი ოსტატობით აჭენებდნენ ცხენებს და ხმარობდნენ მშვილდ-ისარს.

უნდა გავიხსენოთ მთამსვლელი ქალებიც. პირველი ქალი, რომელიც მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ავიდა, იაპონელი იუნკო ტაბეი იყო. მან 1975 წელს დალაშქრა 8848 მეტრის სიმაღლის მწვერვალი. ცნობილი ქართველი მთამსვლელი ალექსანდრა ჯაფარიძე მამაკაცებს არ უდებდა ტოლს თოვლიანი და ყინულიანი მწვერვალების დაპყრობაში.

ქართველი, კერძოდ, გურული ცხენოსნები 1892-1893 წლებში ამერიკელი და ინგლისელი საზოგადოების წინაშე გამოდიოდნენ პროგრამით „ველური დასავლეთის შოუ“. მათ თავად ინგლისის დედოფლის წინაშეც კი მოუხდათ გამოსვლა. თავბრუდამხვევმა ილეთებმა არაერთი ქება და ოვაცია დაიმსახურა. მათი ილეთები გადაუღიათ თვით ინდიელებსა და ამერიკელ ქოვბოებსაც. თურმე გამომსვლელებს შორის გურული ქალებიც ყოფილან.

დღეს თითქმის არ არსებობს სპორტის სფერო, რომელშიც ქალები არ ვარჯიშობდნენ. მათ შორისაა ერთი შეხედვით ძალიან მამაკაცური სპორტის სახეობებიც: ორთაბრძოლა, ჭიდაობა, კრივი, კარატე, აკრობატიკა, ფეხბურთი, მთამსვლელობა, ბადროს ტყორცნა, რალი და სხვა. როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ოლიმპიადებზე, ქალები და მამაკაცები თითქმის თანაბარი რაოდენობით ასპარეზობენ.

განსაკუთრებით წარმატებული ქართველი სპორტსმენი ქალები

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ქალების წარმატება, პირველ რიგში, ჭადრაკს უკავშირდება. ქართული საჭადრაკო სკოლის გამარჯვებებს სათავე დაუდო ნონა გაფრინდაშვილმა. 1962 წლიდან მოყოლებული, მან ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და პირველობა 1978 წლამდე არ დაუთმია. გაფრინდაშვილი 11-ჯერ იყო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი, ორჯერ კი ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. 1976 წელს მოჭადრაკე ქალთაგან მას პირველს მიენიჭა კაცთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. დაარსებულია ნონას სახელობის თასი. მის სახელს ატარებს თბილისის ჭადრაკის სასახლეც.

ქართული ჭადრაკის მეორე დიდი წარმომადგენელია მაია ჩიბურდანიძე. 17 წლის ასაკში ის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და შემდგომ უამრავ წარმატებას მიაღწია. ის ცხრაჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, სამჯერ კი – ვიცეჩემპიონი.

სპორტის სხვა სახეობებსაც გადავავლოთ თვალი. პირველი ოლიმპიური ოქროს მფლობელი ქართველ ქალთა შორის ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელი გახდა ქალაქ ჰელსინკში.

ქეთევან ლოსაბერიძე მშვილდოსანია. ის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონია (1972).

განსაკუთრებული წარმატებები აქვს ასევე ჩვენს თანამედროვე სპორტსმენს, ნინო სალუქვაძეს. ის ტყვიის მსროლელია. ყველაზე ბევრი – ექვსი ოლიმპიადის მონაწილეა. არის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს სუპერთასის ცხრაგზის მფლობელი. დამყარებული აქვს ოცამდე მსოფლიო რეკორდი. ნინო ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერია.

მსოფლიო სპორტულ სამყაროს უამრავი ქალის წარმატება ამშვენებს.

მარიამ წიკლაური

ჩაძირული ქალაქები:
ორი წყალქვეშა საოცრება

კითხვის დრო

www.chemiskola.emis.ge

USAID სამაზრისო განათლების პროგრამა

ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გაკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

მართალია, ყველაზე ფართოდ გაშლილ თანამედროვე ქალაქებთან – ნიუ-იორკთან ან ტოკიოსთან _ პავლოპეტრი ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ 3000 წლის წინ ჩაძირული ქალაქისთვის ძალიან დიდი ფართობია.

ამ ცხრილში იხილეთ 5 უდიდესი ქალაქი ფართობის მიხედვით.

ადგილი	ქალაქი	ქვეყანა	მოსახლეობა	ფართობი (კვადრატულ კილომეტრებში)
1	ნიუ იორკი	აშშ	8,467,513	1,223.59
2	ტოკიო	იაპონია	13,988,129	2,194.07
3	ჩიკაგო	აშშ	2,696,555	607.44
4	ატლანტა	აშშ	496,461	353.04
5	ფილადელფია	აშშ	1,576,251	369.59

ჩაძირულ პავლოპეტრთან ყველაზე ახლოსაა ქალაქი ნეაპოლისი. აქაური მცხოვრებნი გახარებულნი არიან. „უფროსმა თაობამ ყოველთვის იცოდა, რომ იქ რაღაც იყო. მაგრამ მისი გავრცელების არეალზე წარმოდგენაც არ გვქონდა“, – თქვა ნეაპოლისის მერმა.

იუნესკომ პავლოპეტრი წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის დაცულ ძეგლად აღიარა.

მიუხედავად ამისა, მას მაინც ემუქრება გაძარცვისა და გემების ღუზებით დაზიანების საფრთხე.

დღესდღეობით, მსოფლიოს ოკეანეების ფსკერის 1%-ზე ნაკლებია შესწავლილი. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინ გველის წყალქვეშ ბევრი გამქრალი დასახლების აღმოჩენა.

უძველესი დასახლებების დიდ ნაწილს არქეოლოგები ხმელეთზე, მიწის გათხრების საშუალებით პოულობენ. ერთი ასეთი მაგალითი გაზეთის პირველ გვერდზეცაა აღწერილი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ უძველეს დასახლებას მხოლოდ მიწა კი არა, წყალიც ფარავს. მართლაც, არსებობს ისტორიული დასახლებები, რომლებიც ტბების, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზეა ჩაძირული. ამ ქალაქების ხმელეთიდან გაქრობას მიწისძვრები, ცუნამები ან სხვა კატასტროფები იწვევდა. ბევრი ასეთი ნაქალაქარი არც ისე დიდი ხანია, რაც აღმოაჩინეს. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ორი ჩაძირული ქალაქის: კლეოპატრას ალექსანდრიისა და პავლოპეტრის შესახებ.

კლეოპატრას ალექსანდრია. ეგვიპტე

კლეოპატრას ალექსანდრია დიდი და ძლიერი ქალაქი იყო. 1600 წლის განმავლობაში ის დაკარგულ ქალაქად ითვლებოდა. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ ლეგენდები გვაუწყებდნენ. მაგრამ, აი, 1998 წელს თანამედროვე ალექსანდრიის სანაპიროსთან საზღვაო არქეოლოგთა ჯგუფი წყალქვეშ ძველი ქალაქის ნანგრევებს წააწყდა. როგორც ჩანს, ეს დასახლება მიწისძვრის შედეგად ჩაიძირა. საჩქაროდ დაიწყეს გათხრები. შლამის სქელი ფენიდან დიდი ზომის მონუმენტები გამოთხარეს. ისინი ამდენი ხნის მერეც კი მყარად იდგა ზღვის ფსკერზე. ისტორიკოსებმა ასევე აღმოაჩინეს სვეტები, სფინქსის ქანდაკებები, ტაძრები. იპოვეს იმ სასახლის საძირკველიც, რომელიც, სავარაუდოდ, თავად კლეოპატრას ეკუთვნოდა.

როგორც ჩანს, კლეოპატრას ალექსანდრია მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი იყო. უზარმაზარი ქვის მონუმენტების გარდა აქ მიაგნეს მონეტებსა და ძვირფას საყოფაცხოვრებო ნივთებს. 2000-ზე მეტი წლის წინ ამ დიდებულ ქალაქს ბერძენი გეოგრაფები და ისტორიკოსები აღწერდნენ. ახალმა აღმოჩენამ მათ მიერ აღწერილი სურათის აღდგენა გახადა შესაძლებელი.

გარდა ამისა, წყალქვეშა გამოკვლევებმა გააცოცხლა კლეოპატრასა და რომის იმპერატორის მარკუს ანტონიუსის ყოფის ამსახველი ზოგიერთი დეტალი. ნაპოვნია, აგრეთვე, დედოფლის მამისა და ვაჟიშვილის ქანდაკებები. გადმოცემის თანახმად, კლეოპატრამ და მარკუს ანტონიუსმა რომაელთა ტყვეობას თვითმკვლელობა არჩიეს. უპატრონოდ დარჩენილი მათი ავლადიდების ნაწილი რომაელმა დამპყრობლებმა დაიტაცეს, ნაწილიც გაანადგურეს. დღემდე არქეოლოგებმა მიაგნეს მათი საფლავების სამ სავარაუდო ადგილს.

დღემდე ხელოვნების ასზე მეტი ნიმუშია ამოთხრილი. ჩაძირული სამეფოს გათხრების სამუშაოები ინტენსიურად გრძელდება. ამჟამად არქეოლოგები განიხილავენ წყალქვეშა ქალაქი-მუზეუმის დაარსების შესაძლებლობას. წარმოიდგინე, წყალში ჩაყვინთავ და უძველესი ქალაქის ქუჩებში გაისეირნებ.

პელოპონესის ქალაქი პავლოპეტრი. საბერძნეთი

დღესდღეობით, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ჩაძირულ ქალაქთა შორის პავლოპეტრი უძველესია. იგი მიწისძვრის შედეგად ჩაძირულა, დაახლოებით, ძვ. წ. აღ. 1000 წელს. მისი ქუჩების, შიდა ეზოებისა და შენობების უმეტესობა თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი.

2009 წელს არქეოლოგებმა პირველად შეადგინეს პავლოპეტრის არქეოლოგიური გათხრების რუკა. საოცარია, რომ ქალაქი იმ დროისთვის უზარმაზარ ფართობზე – 30000 კვადრატულ მეტრზე ყოფილა გადაჭიმული.

გუგუმანა კლდის ამბავი

ბავშვებს გუგუმანა კლდეზე შეკრება უყვარდათ. ეს კლდე ბევრი რამით იყო გამორჩეული.

ჯერ ერთი იმით, რომ სოფლის გაღმა, ზედ შარაგზაზე მდებარეობდა. ამიტომ მიმსვლელ-მომსვლელის დასასვენებლად მეტად მოსახერხებელი იყო.

ახვიდოდი კლდეზე და უეცრად ქვეყნიერების შუაგულში მოგეჩვენებოდა თავი. წინ სოფელი გადაგეშლებოდა ხელისგულივით თავისი ბანებითა და შუშაბანდებით, უკან – დიდგორის მთა და ფაფაფრენის მინდორი, მარცხნივ – თოვლიანი ჭიუხები და მყინვარი სიბდაურა, ხოლო მარჯვნივ, მთის კალთაზე მიყუჟული კიდევ ერთი სოფელი – ღული.

კლდეს, ცალ მხარეს, იოლად ასასვლელი საფეხურები და ბრტყელი, მოედანივით ზედაპირი ჰქონდა. მეორე მხარეს კი თანდათან მაღლდებოდა და ციცაბო წვეტს იკეთებდა.

უფრო თამამი და უშიშარი ბავშვები სწორედ ამ წვეროზე შემოსკუპდებოდნენ ხოლმე. ამაყად ჩამოსცქეროდნენ ქვემოთ დარჩენილებს.

გუგუმანა კლდეზე ხშირად დაინახავდით დურბინდმომარჯვებულ ადამიანს, რომელიც სოფლის შემოგარენს ათვალიერებდა. აქედან ყველაზე უკეთ ჩანდა, თუ რა ფუჭდებოდა და რა კეთდებოდა სოფელში. ადვილად გაიგებდით, სად პური ცხვებოდა და სად საარაყე ქვაბი დუღდა, ვისი საქონელი ვის ყანაში გადადიოდა და ვისი ხბოები ვის სათიბს აფუჭებდნენ.

გუგუმანა კლდესთან კიდევ ერთი საინტერესო ამბავი იყო დაკავშირებული.

თავ-თავისი ბებო-პაპისაგან ყველა ბავშვმა იცოდა, თუ რატომ ერქვა ამ კლდეს „გუგუმანა კლდე“.

უხსოვარ დროში კლდეს ერთი გუგული შესჩვეოდა. ყოველ წელიწადს, ზუსტად ერთსა და იმავე დროს მოფრინდებოდა კლდის წვეროზე, იქ სადაც ახლა ყოჩაღი ბავშვები სხდებიან, შემოჯდებოდა და „გუ-გუ, გუ-გუ“-ს ძახილს მოჰყვებოდა.

ძალიან შესჩვევია ეს გუგული ამ სოფელს და ეს სოფელი ამ გუგულს. ისე შეჰყვარებიათ, რომ ყოველ გაზაფხულს მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს კი, როგორც ყველგან ხდება, აქაც გამოჩენილა ბოროტი ადამიანი და გუგული მოუკლავს. სოფელს ძალიან სწყენია საყვარელი ჩიტის სიკვდილი. მისდამი სიყვარულის აღსანიშნავად ამ კლდისათვის სოფელს „გუგუ მანაკლავი კლდე“ დაურქმევია, ანუ კლდე, სადაც გუგული მოკლეს. დროთა განმავლობაში გრძელი სახელი შემოკლებულა და „გუგუმანა კლდედ“ ქცეულა.

„წინათ ისეთა ყოფილა სოფელ, ჩიტის სიკვდილსაც იხსომებდ“, – სინანულით უთხრა ერთხელ მგელიკა პაპამ სამწყემსურში მყოფ გოგო-ბიჭებს.

რაც მართალია, მართალია. აქამდე ბავშვებს ამაზე არ უფიქრიათ. იმ დღიდან კი ჩაფიქრდნენ და გუგუმანა კლდეზეც თითქოს უფრო მოწიწებით დაიწყეს სიარული.

მართლაც, ბავშვებო! მთელ დედამიწაზე, როშკის გარდა, ძნელად თუ მოიპოვება სხვა სოფელი, სადაც ჩიტის სიკვდილი **ანდრეზად** ჰქონდეთ შემონახული.

ანდრეზი *არის ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ამბავი ლაშქრობის, გმირობის, ზოგჯერ კი - ლაჩრობის შესახებ. ანდრეზი ჰგავს ანდაზას ან არაკს. ის წარსულში მომხდარი ფაქტებით გვასწავლის, თუ რა არის კარგი და რა - ცუდი. თაობიდან თაობაზე ანდრეზი გადადიოდა ზეპირი მოთხრობის ან ლექსის სახით. მეანდრეზეს საგანგებოდ იწვევდნენ მის სათქმელად.*

ეს ამბავი მეც საყურადღებოდ მომეჩვენა და ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის მოთხრობა დამეწერა.

გუგუმანა კლდე კი დღესაც იქ დგას და თქვენ გელოდებათ.

ვინ იცის, იქნებ გუგულიც ისევ მოფრინდეს?!

გაბური ლელა

კითხვის-დრო

კოლაჟი ხელოვნების ნიმუშია. ის ქაღალდის ან მუყაოს ბრტყელ ზედაპირზე სხვადასხვა მასალის დაწებებით კეთდება. სიტყვა კოლაჟი ფრანგული ენიდან მოდის, „coller“ დაწებებას ნიშნავს. დასაკრავი მასალის სახით იყენებენ ფერად ქაღალდს, ფოტოსურათებს, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ დეტალებს, ლენტებს, ღილებსა და სხვ. შესაძლებელია ელექტრონული კოლაჟის გაკეთებაც. კოლაჟის შექმნა შეიძლება რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების, წინასწარ მოფიქრებული იდეის ან თავისუფალი თემის გარშემო. შესაძლებელია კოლაჟის ფორმით მოთხრობის, ზღაპრის ან ლექსის ილუსტრაციაც დამზადდეს. კოლაჟის შექმნა დამოუკიდებლადაც შეგიძლიათ და ჯგუფურადაც. ამ სტატიაში წაიკითხავთ კონკრეტულ რჩევებს კოლაჟის შესაქმნელად.

კოლაჟის შესაქმნელად დაგჭირდებათ: ბრტყელი ზედაპირი, დასაკრავი საგნები, წებო და მაკრატელი.

შეარჩიეთ კოლაჟის თემა და ფორმა. სასურველია, წინასწარ ჩამოაყალიბოთ თქვენი კოლაჟის თემა. თუ ილუსტრაციას აკეთებთ, მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმოები კარგად გქონდეთ წაკითხული. გადაწყვიტეთ, რის დაწებებას აპირებთ კოლაჟზე. ამისათვის დაგჭირდებათ სხვადასხვა მასალა: ფერადი ქაღალდი, ძაფი, ქსოვილის ნაჭრები, მარკები, ჟურნალებიდან ამოჭრილი ფურცლები, პლასტმასი, ფოლგა, პროდუქტის ეტიკეტები, ხუფები, ასანთის ღერები, საცობები, ღილები, ბუნებრივი საგნები (ხის ქერქი ან ფოთლები, პატარა ტოტები, კვერცხის ნაჭუჭი, ნიჟარები) და სხვა. როგორც ხედავთ, არჩევანი ძალიან დიდია. მთავარია, შერჩეული საგნები წებოთი ადვილად დამაგრდეს.



ამოარჩიეთ შესაფერისი ზედაპირი. ზედაპირისთვის უფრო ხშირად სქელ ქაღალდს ან მუყაოს იყენებენ, თუმცა შესაძლებელია სხვა მასალის აღებაც. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: ტომრის ქსოვილი (ჯვალო), ძველი წიგნის ყდა, პლასტმასი და ა.შ. აქაც მთავარია, რომ შერჩეული საგნები ადვილად დაწებდეს და დამაგრდეს.





მოამზადეთ ზედაპირზე დასაწებებელი მასალა. შეკრიბეთ კოლაჟის ნაწილები, სანამ დაწებებას დაიწყებთ. დაჭერით ან დახიეთ ქაღალდი ნაწილებად. გამოიყენეთ მაკრატელი ან საკანცელარიო დანა სხვადასხვა ფორმების მისაღებად. ეფექტისთვის შეგიძლიათ ქაღალდს კიდეები ჩამოახიოთ. ამოჭერით ჟურნალებიდან სასურველი ნაწილები: სურათები, ასოები ან მთელი სიტყვები. შეგიძლიათ სტიკერების ან დეკორატიული დეტალების გამოყენებაც. მოსინჯეთ დასაწებებელი საგნების განთავსების სხვადასხვა ვარიანტები. ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, თუ როგორი იქნება დასრულებული ნამუშევარი.

დააწებეთ მომზადებული საგნები კოლაჟზე. გამოიყენეთ წებო. შეეცადეთ ააწყოთ კოლაჟი ერთი ძირითადი ნაწილის გარშემო, რომელიც, თქვენი აზრით, გამორჩეული ან საინტერესოა.

გააშრეთ კოლაჟი. გადადეთ დასრულებული კოლაჟი გასაშრობად. ამას შეიძლება რამდენიმე საათი დასჭირდეს.

კითხვის-დრო